



არდი

როცა ფიქრობ
მხოლოდ კარგზე

ქონების საკრედიტო დაზღვევა

მსესხებლის საინფორმაციო
ფურცელი




პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank




დოკუმენტი შედგენილია „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით

ჩვენი სადაზღვევო კორტფელის ზრდის დინამიკა



დაბალანსებული სადაზღვევო კორტფელი

2020 წლის მონაცემებით



ალექსანდრე კალანტაროვი
ძირუროვი



“არდინი მყავს პირადი მენეჯერი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია და რომელიც ყოველთვის მზად არის ჩემს დასახმარებლად.”



თაქო კაკაბაძე



“კომპანია, რომელმაც ბევრჯერ დამიმტკიცა, რომ საუკეთესოა ამ სფეროში. დახმარება თუ გჭირდება თან გყვებიან. არდი რომ არა, დიდი ხნის გადასადგები იქნებოდა ჩემი მანქანა.”



ირაკლი შაიშმუროვი



“არდის სახელი, ასოცირდება სასიამოვნო ურთიერთობებთან, ქველმოქმედებასთან, სიმშვიდესთან და პროფესიონალიზმთან.”



ტატა მესხი



“მე საქართველოში რამდენიმე სადაზღვევო ვცადა. მხოლოდ არდი აღმოჩნდა კომპანია, რომელმაც ჩემი ძვირადღირებული მანქანის შეკეთების ხარჯები სრულად ამინაზღაურა ყოველგვარი გაპრობლემების გარეშე. საუკეთესო სერვისი აქვთ ჩემი გამოცდილებით ♥”



გიორგი კაველიძე
პოლიტი, კუბლიცისტი



“არდი ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს. რაც მთავარია კომფორტულად, პრობლემების და სირთულეების გარეშე.”



ალექსანდრე ნიქაბაძე



“ქოლ-ცენტრის მომსახურება ძალიან მომწონს იმდენად სწრაფად მემსახურებიან, მათთან დასრულებული არ მაქვს საუბარი მენეჯერი უკვე მიკავშირდება ხოლმე. უმაღლეს შეფასებას გინერთ.”

➤ გზღვევის სრული დასახელება

➤ სს „არდი დაზღვევა“ (ს/კ: 404858631)

➤ დაზღვევის ხელშეკრულების სახე

➤ ფიზიკური პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების საკრედიტო დაზღვევა

➤ დაზღვევის ობიექტ(ებ)ი:

- რეზიდენციული შენობა-ნაგებობა
- კომერციული შენობა-ნაგებობა (ცალკეულ შემთხვევებში, თუ მოსარგებლე ფიზიკური პირია)
- გარე და შიდა მოპირკეთება (რემონტი) - დაზღვეულის სურვილის შემთხვევაში
- მინები და ვიტრაჟები - დაზღვეულის სურვილის შემთხვევაში

➤ დაზღვეული რისკები (All Risks Cover)

- ხანძარი
- აფეთქება
- მეხის დაცემა
- საფრენი აპარატის ან მისგან გადმოვარდნილი საგნების დაცემა
- წყალდიდობა
- შტორმი
- ქარიშხალი
- სეტყვა, მეწყერი
- მეწყერი/ზვავი/თოვლის სიმძიმე/ ქვების ვარდნა
- მიწისძვრა
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა
- წყლით დაზიანება, დატბორვა
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი
- სატრანსპორტო საშუალების შეჭახება დაზღვეულ ქონებაზე
- გარე მინების მსხვრევა (თუ დაზღვეული რისკია)

➤ ზიანის კლასიფიკაცია

- ქონების ნაწილობრივი დაზიანება - 70% ან ნაკლები
- ქონების სრული დაზიანება/განადგურება - 70% და მეტი

სადაზღვევო თანხის გამოთვლა

- შენობა-ნაგებობის სადაზღვევო განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებით (მიწის ღირებულების გამოკლებით);
- შენობა-ნაგებობის გარე და შიდა მოპირკეთების/რემონტის სადაზღვევო თანხა განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით;

ფრანშიზა (არაანაზღაურებადი მინიმუმი)

- **1,000,000 ლარი ან 300,000 აშშ დოლარზე ნაკლები სადაზღვევო თანხის შემთხვევაში**
5% ზარალიდან მინ. 1,500 ლარი/500 აშშ დოლარი (All Risks)
5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 5,000 ლარი / 1,650 აშშ დოლარი (მიწისძვრა და სრული ზარალი)
- **1,000,001 – 3,000,000 ლარის ან 300,001 – 1,000,000 \$ სადაზღვევო თანხის შემთხვევაში**
5% ზარალიდან მინ. 2,000 ლარი / 650 აშშ დოლარი (All Risks)
5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 7,500 ლარი/2,500 აშშ დოლარი (მიწისძვრა და სრული ზარალი)
- **3,000,001- 10,000,000 ლარის ან 1,000,001\$ - 3,000,000\$ სადაზღვევო თანხის შემთხვევაში**
5% ზარალიდან მინ. 2,500 ლარი / 800 აშშ დოლარი (All Risks)
5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 9,500 ლარი / 3,350 აშშ დოლარი (მიწისძვრა და სრული ზარალი)

ქონების სადაზღვევო თანხა

დაზღვევის წლიური ტარიფი

< 10,000,000 ლ

0,075%

ქონების საბაზრო ღირებულებიდან

მინიმალური სადაზღვევო პრემია

პოლისზე - **99 ლარი / 33 აშშ დოლარი**

გადაზღვევა

- ყველა პოლისის გადაზღვევა ხორციელდება მსოფლიოში უმაღლესი რეიტინგის მქონე საფრანგეთის **N1** საგადამზღვევო კომპანიაში

Standard & Poor's
2019

AM Best
2019

AA-
stable outlook

A
positive outlook

SCOR

ანუ რა შემთხვევებს არ დაფარავს თქვენი სადაზღვევო პოლისი?

1. ზარალი, რომელიც დადგა დაზღვევის პერიოდის დაწყებამდე;
2. ქონების (მისი შიგთავსის) სიძველით, ლპობით, ხანგრძლივი ექსპლუატაციით, ცვეთით, კოროზიით, დადგენილ სტანდარტებთან/ნორმებთან შეუსაბამობით, თვითაალებით ან სხვა ბუნებრივი/ხარისხობრივი თვისებებით;
3. დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის), მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ბრალით (მათ შორის, შესაბამისი ნორმატივის, სახანძრო თუ სხვა წესის ან/და ტექნოლოგიის დაუცველობა, არასწორი ექსპლუატაცია, საფრთხის დროულად აღმოუფხვრელობა, ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან მათი ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა);
4. რადიოაქტიური დასხივებით ან ბირთვული საწვავის გამოყენებით;
5. ექსპერიმენტული ან კვლევითი სამუშაოებით, ან ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით;
6. დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა სახის თერმული დამუშავებით
7. შიგანვის ძრავასა ან ანალოგიურ მანქანა-დანადგარებზე წვის კამერაში მომხდარი აფეთქების შედეგად;
8. ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქებით (გარდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის ეს გარემოება ცნობილი არ იყო დაზღვევის განხორციელებამდე);
9. თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობის მშენებლობა-რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული არ იყო სეისმოლოგიური პირობები ან თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობა ამორტიზებული იყო და შემფასებლის მიერ არ იყო მითითებული დასკვნაში;
10. მეწყერის, გრუნტის დაჯდომის ან სხვა მოძრაობის შედეგად, თუ ეს გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით ან გადამუშავებით თუ ეს განპირობებულია მესამე მხარის ბრალით;
11. ვიტრინის, მინის კედლის, ვიტრაჟის, ფანჯრის/კარის მინისა ან ამ მინის ჩარჩოს, დაზიანებით (ავარიით) ან განადგურებით, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
12. საკომუნიკაციო, ელექტროგაყვანილობის ან მილების სისტემის ის ნაწილი, რომელიც ცდება ქონების ტერიტორიას 1,000 მეტრი რადიუსით;
13. ღია ფანჯრის/კარის გზით, თუ გაღება გამოწვეული არ იყო იმ სტიქიური უბედურების, როგორც დაზღვეული რისკის, შედეგად;
14. ისეთი გარემოების შედეგად, რაც ზრდიდა სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან მის შემდეგ ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისათვის (დაზღვეულისათვის, მოსარგებლისთვის)
15. კანონმდებლობით ან ამ პირობებით განსაზღვრული სხვა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, რომლებიც დამზღვევის (დაზღვეულის) ბრალეულობას ავლენს ან/და სადაზღვევო ანაზღაურებას გამორიცხავს.

დამატებითი პირობები

გაითვალისწინეთ, რომ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება:

- ✗ ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა მიღგაყვნილობის, გათბობისა თუ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლის, შეკეთების ან გაყინვის შემდეგ მათი გათბობისათვის;
- ✗ ის ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ან მისი მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად-მოსაწესრიგებლად (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- ✗ ზიანი, რომლის დადგომა ან/და ოდენობა დოკუმენტურად დაუსაბუთებელია;
- ✗ ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო თანხები;
- ✗ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ხარჯები;
- ✗ ქონების გადაკეთების ან გაუმჯობესების ხარჯები.

როგორ უნდა მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დროს?

➤ დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვეველს წერილობით ან 24/7 ცხელი ხაზის - **032 2101010** მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან **48 საათში** და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით, ხოლო - შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ **არა უგვიანეს 1 თვისა** უნდა წარუდგინოს ზიანის განაცხადი, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის განხილვის საფუძველია. მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ იგი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს შეტყობინებას.

➤ მზღვეველს უნდა წარუდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ქონების საკრედიტო დაზღვევის ზიანის განაცხადი (ფორმა C/PRO - B2);
2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზიანებული ქონების საკუთრების (ფლობის, სარგებლობის) უფლებას;
3. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო(ებ)ის მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას, მის მიზეზებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს, აგრეთვე ზიანის სახესა და ოდენობას (არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ. იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე. ამასთან, მისი გაცნობა და ჩვენი მხრიდან განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.



არდი

როცა ფიქრობ
მხოლოდ კარგზე

საკონტაქტო ინფორმაცია

სათავმო ოფისი:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 3, თბილისი

ელ.ფოსტა: OFFICE@ARDI.GE
WWW.ARDIG.E

სოციალური ქსელი:



ARDIINSURANCE



ARDI-INSURANCE



ARDIINSURANCE



ARDIINSURANCE